ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4236525

ნომერი: AR1638680

თარიღი : 22.10.2018

გაცემის თარიღი : 26.10.2018

გაცნობის თარიღი : 29.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 , (ნაკვეთი N40/220);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ თავყელიშვილი პ/ნ 01017007827
- რ.თაბუკაშვილის 47

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს "მეტი კონსტრაკშენი" კოდი: 404562861

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "მეტი კონსტრაკშენი"
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ოთარ თავყელიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017007827

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 5237.0

- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1275.1
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7268.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 0.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 7268.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 5.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 0.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 5.7

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
01. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 27 სექტემბრის N03/1056 ბრძანებით ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის ქ. N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი, ხოლო, ამავე სამსახურის 2008 წლის 18 აპრილის N6/422 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. წარმოდგენილი განცხადებიდან დგინდება, რომ აღნიშნული აქტების საფუძველზე ნაწარმოებია მხოლოდ საძირკვლისა და ერთი სართული მშენებლობა, რის შემდეგაც მშენებლოობა შეწყდა და არ განხორციელებულა ობიექტის კონსერვაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ვინაიდან, მშენებლობის ნებართვა წარმოადგენს ერთჯერადი ხასიათის აღმჭურველ აქტს, ხოლო, წარმოდგენილი განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2007 წლის 27 სექტემბრის N03/1056 და 2008 წლის 18 აპრილის N6/422 ბრძანებების საფუძველზე აშენებული საძირკვლისა და ერთი სართულის დემონტაჟი, ასევე, განცხადებაზე წარმოდგენილი განმარტებიდან და დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ მშენებლს აღარ აქვს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის გაგრძელებისა და დასრულების ინტერესი, ობიექტის დემონტაჟისათვის საჭიროა სამსახურის 2007 წლის 27 სექტემბრის N03/1056 და 2008 წლის 18 აპრილის N6/422 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადება.
დემონტაჟის ნებართვის გაცემისათვის აღნიშნული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე მოთხოვნა განმცხადებელმა უნდა დააყენოს წინამდებარე განცხადებაზე. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა ამხანაგობა "აგრარული აკადემია 2005“. სამსახურის 2008 წლის 18 აპრილის N6/422 ბრძანებით გაცემულ მშენებლობის ნებართვაშიც დამკვეთად მითითებულია ამხანაგობა "აგრარული აკადემია 2005“.
წინამდებარე განცხადებით სამსახურს მომართავს შპს „მეტი კონსტრაკშენის“ დირექტორი, ოთარ თავყელიშვილი. არ დგინდება შპს „მეტი კონსტრაკშენის“ უფლებამოსილება (საკუთრება ან სარგებლობა). სამსახურს უნდა მომართოს სამშენელო სამუშაოების განხორციელებით დაინტერესებულმა უფლებამოსილმა პირმა (მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ან მოსარგებლემ).
შესაბამისად, საჭიროა წარმოდგენილი იქნას შპს „მეტი კონსტრაკშენის“ სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, ამხანაგობა "აგრარული აკადემია 2005-ის" სრული სადამფუძნებლო დოკუმენტაცია (ყველა ცვლილებით) და საჭიროების შემთხვევაში მის საფუძველზე შედგენილი ამხანაგობის უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობა. ასევე, დამკვეთად მიეთითოს სამშენებლო სამუშაოების განხორციელებით დაინტერესებული უფლებამოსილი პირი. საჭიროა წარმოდგენილი იქნას საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული ყადაღის, აკრძალვისა და სუბიექტების მოვალეთა რეესტრში დამატების საფუძვლები სრულად: განჩინება N937-11, 31.01.2011, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია და განჩინება სააღსრულებო ფურცელი, N7068-11, 09.06.2011, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, განჩინება სააღსრულებო ფურცელი, N7068-11, 09.06.2011, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, განჩინება N20860-11, 13.06.2011, თბილისი საქალაქო სასამრთლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, სააღსრულებო ფურცელი, N2ბ/2057-15, 02.03.2016, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, ვიტალი ჭიტაძე სუბიექტის დამატება მოვალეთა რეესტრში 30.04.2013 #A13024697-004, აღმასრულებელი:

ლალიაშვილი გვანცა დაწყებულია აღსრულება 30.06.2011 # A11036334-003 და საჭიროების შემთხვევაში კრედიტორების მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები.
02. .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი.:
წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განაახლეთ არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა თარიღის მითითებით.
03. წარმოადგინეთ კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების (მომიჯნავე საკადასტრო ერთეულ(ებ)ის და მისამართის დაფიქსირებით) არსებულ ტექნიკურ მდგომარეობასა და სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელების პროცესში მათზე ზეგავლენის შესახებ, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული და შეავსეთ ექსპერტის მონაცემები;
იმ შემთხვევაში, თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება მშენებლობის პროცესში, დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები;
გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ გამაგრება შეეხება მომიჯნავე შენობებს საჭიროა, დამატებით ატვირთულ იქნას მათი მესაკუთრეების შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე;
გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.